სიტყვა დავით ჩუბინაშვილის პატივსაცემად 18 სექტემბერს, 1881 წელს

ბატონო დავით!

ყოველს ჩვენგანს სასიხარულოდ უნდა ჰქონდეს, რომ მოგვეცა შემთხვევა თავმოწონებით ვსთქვათ: „დღეს ყმაწვილკაცობას ქართველობისას აქ ერთად თავი მოუყრია, რათა პატივი სცეს თავის უხუცესს მოღვაწეს სალიტერატურო სარბიელზედ“. ის არის სასიხარულო ამ შემთხვევაში, რომ დღეს თვითეულის ჩვენგანის გული ერთს გრძნობაზედ არის ასხმული და ეგ გრძნობა ის პატივისცემაა, რომელსაც ყოველი მამულისშვილი გულში უნდა მოწიწებით ინახავდეს და სამართლიანად შესწირვიდეს ქვეყნისათვის გამრჯელსა და მოამაგესა. დღეს სწორედ ამ გრძნობამ პატივისცემისამ საქვეყნოდ მშრომელისადმი შეგვყარა ჩვენ აქ. ეს უტყუარი ნიშანია მისი, რომ ჩვენს ცნობიერებითს ცხოვრებას ცოტად თუ ბევრად უმატნია, სულიერი ძალი ჩვენი ჰასაკში შედის. ღმერთმა ჰქმნას, რომ ამგვარი გრძნობა დაუძინებელი იყოს ჩვენში ჯილდოდ და ნუგეშად ჩვენის ქვეყნის მოამაგისა. ამ სანუგეშო და სასიხარულო ამბის მიზეზი და პირველი მაგალითი ჩვენში თქვენა ბრძანდებით, ბატონო დავით, თქვენ, რომელმანცა შეძლებისამებრ თქვენი სამსახური გაუწიეთ თქვენს სამშობლო ქვეყანასა და ღვაწლი დასდევით. ბევრს არას ვიტყვი, მე მხოლოდ ვახსენებ თქვენს ორ ღვაწლს სხვათა მრავალთა შორის: თქვენ ჩვენს სიტყვიერებას სამუდამო სალარო აუშენეთ, ჩვენის ჭკუისა და გულის მონაგარს, ჩვენ სულიერს განძს ბინა დაუდევით, თქვენ შეგვიდგინეთ ლექსიკონი, და შეგვიკრიბეთ ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა. ამით სამართლიანი საბუთი მოგვეცით ხელში, რომ საქვეყნოდ თავი მოვიწონოთ ჩვენის ენისა და მწიგნობრობის სიმდიდრითა და ჩვენცა ვსთქვათ, რომ ჩვენც ოდესმე ვყოფილვართ, ჭკუით და გულით გვიცხოვრია. ღმერთმა ჰქმნას, რომ არც ერთი და არც მეორე ღვაწლი თქვენი არ დაეკარგოს საქართველოს, რომელიც თქვენ გიყვართ და რომელიც დღეს თავის გულითადს პატივისცემას ჩვენის პირით მოგახსენებს.